

## „რელიგიურ უფლებათა მონიტორინგი“



მშვიდობის დემოკრატიის და განვითარების  
კავკასიური ინსტიტუტი  
THE INSTITUTE FOR PEACE, DEMOCRACY AND  
DEVELOPMENT

თბილისი წერეთლის გამზირი #  
72 ტელ: +995 32 235 51 54 / 235 77  
37 ელ-ფოსტა : [info@cipdd.org](mailto:info@cipdd.org)

იანვარი-მარტი, 2017

Newsletter N. 2

### ევროკავშირი

\*\*\*

#### საქართველოს საპატრიარქო უვიზო მიმოსვლის შესახებ

03.02.2017

საქართველოს საპატრიარქო აქვეყნებს ოფიციალურ განცხადებას საქართველოს ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის შესახებ:

„მოხარულნი ვართ, რომ საქართველოს მოქალაქეებს მიეცათ შესაძლებლობა ევროკავშირის სივრცეში უვიზო მიმოსვლისა. ეს არის ჩვენი ქვეყნის დაფასება და აღიარება, მაგრამ, ამავე დროს გარკვეული გამოცდაც.

ჩვენმა ხალხმა უნდა იგრძნოს მეტი პასუხისმგებლობა და ვალდებულება იმისა, რომ ევროსივრცეში ღირსეულად წარმოაჩინოს თავი, რადგან ყოველი ჩვენი ქმედება მეტყველებს როგორც ჩვენს პიროვნებაზე, ისევე ჩვენს სამშობლოზე.

ჩვენი ვალია ისიც, რომ ვეცადოთ, არამართო ჩვენ შევითვისოთ და გამოვიყენოთ ის ღირებული, რითაც ხასიათდება ეს გარემო, არამედ ჩვენი წვლილიც შევიტანოთ მის განვითარებაში; ეს კი შესაძლებელი იქნება, თუ ჩვენს კულტურას, ჩვენს ისტორიასა და ტრადიციებს გავაცნობთ და გავუზარებთ ევროპას.

ასე რომ, ასპარეზი დიდია და გონივრული ნაბიჯების გადადგმა გვმართებს.

ყველას გილოცავთ ამ მიღწევას და შევთხოვთ ღმერთს, რწმენის სიმტკიცე, მშვიდობა და კეთილდრეობა მოგვმადლოს.“

<http://patriarchate.ge/geo/sapatriarqos-gancxadeba/>

\*\*\*

### საქართველოს მართლადიდებლური ეკლესია სავიზო ლიბერაციების შესახებ

27.03.2017

დასავლეთ ევროპის ეპარქიის ფეისბუკ-გვერდი აქვეყნებს ინფორმაციას საქართველოს ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის შესახებ და ყველას ულოცავს ამ ისტორიულ მოვლენას : „VISAFREE, გილოცავთ!“

28.03.2017

მეუფე იაკობი სოციალურ ქსელში ავრცელებს ინფორმაციას სავიზო ლიბერაციის შესახებ შემდეგი ტექსტით : **„ვულოცავთ სრულიად საქართველოს, მის თითოეულ მოქალაქეს ვიზალიბერალიზაციას - ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის ამოქმედებას და ევროპულ ოჯახში დაბრუნებას.**

დღეიდან საქართველოს მოქალაქეები ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში უვიზოდ იმოგზაურებენ.

ამ შესაძლებლობის გაფრთხილება და სასიკეთოდ გამოყენება თითოეული ჩვენგანის ვალია.“

04.02.2017

დეკანოზი ანდრია კემულარია სოციალურ ქსელში აზიარებს ვიდეო მიმართვას, სადაც პოლიტიკოსი ლევან ბერძენიშვილი საუბრობს ვიზალიბერალიზაციის შესახებ. აღნიშნულ მიმართვას დეკანოზი ასე ეხმაურება : „რა უნდა ვთქვა ამაზე?! არის შედარება იმაში, რას ვთმობთ და რას ვიღებთ? როგორც ჩანს, ამ ადამიანს სუტენიორად მიაჩნია თავი, საქართველო კი მეძავად. ე.წ ანტიდისკრიმინაციული კანონი ჩვენი ქვეყნისა და სახელმწიფოს წარუშლელი სირცხვილია“

პოლიტიკა, სეკულარიზმი, ეკლესია

\*\*\*

### საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე

08.01.2017

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლეში, სხვა მნიშვნელოვან თემებთან ერთად პატრიარქი საუბრობს საღვთო ზნეობაზე: „რომ მას თვით ყველაზე დახვეწილი და რაციონალური სახელმწიფო კანონებიც კი ვერ შეედრება.“

„სახელმწიფო კანონით დანაშაულად არ მიიჩნევა, მაგალითად, პატივმოყვარეობა, დიდებისმოყვარეობა, განკითხვა, მრისხანება, შური, ამპარტავნება, ეგოიზმი, შიში, მტრობა, სიძულვილი ... ვიდრე მათი გამოვლინებები სერიოზულად არ დააზარალებს სხვას.“

სახელმწიფოზე და კანონებზე მსჯელობისას პატრიარქი აღნიშნავს შემდეგს : „ზოგიერთი სახელმწიფო კანონი ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს და მცდელობები აქვთ, ცოდვა ოფიციალურად ნებადართული გახადონ. პარალელურად ხდება ისიც, რომ ტელევიზია, მასმედია, სოციალური ქსელები... ამა თუ იმ უწყსობას ხშირად მიმზიდველად და საინტერესოდ გვისახავენ და ხელს უწყობენ მათ პროპაგანდას.“

<http://patriarchate.ge/geo/saqartvelos-katolikos-patriarqis-sashobao-epistole/>

\*\*\*

დეკანოზი დავით ისაკაძე: ცოტახანში საქართველოში ქართველები უმცირესობაში აღმოვჩნდებით!

15.03.2017

სოფელ დიდმის წმინდა მარინეს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი დავით ისაკაძე გაზეთ „ასავალ-დასავალთან“ აცხადებს რომ : „**არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სახალხო დამცველის აპარატმა ნებისმიერ კონფლიქტში წესად აქციეს სხვა დენომინაციებთან მიმართებაში მართლმადიდებლების, ხოლო სხვა ერების წინაშე ქართველების გამტყუნება!**“ მისი აზრით, ეკლესიის დისკრედიტაციის პროცესი დაიწყო მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში და ამაში მონაწილეობას იღებდნენ დასავლეთის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები.

მღვდელი დავით ისაკაძე მიიჩნევს, რომ „ეს არის ბრიუსელის დიქტატის გამოხატულება, უკვე გვაიძულებენ, სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოში მიგრანტები და ლტოლვილები შემოვუშვათ. გამოდის, ევროპა ვიზა-ლიბერალიზაციას იმიტომ გვამღევს, ჩვენს ქვეყანაში ათასი ჯურის გადამთიელი შემოიყვანოს და ფიზიკურადაც გადაგვაგვაროს! ცოტა ხანში საქართველოში ქართველები უმცირესობაში აღმოვჩნდებით!“ ყველა ადამიანი ვინც ამ პროცესს აღუდგება, მას პატრიოტად მიაჩნია. მისივე თქმით, „ბრიუსელის მსტოვრები“ ასეთ ადამიანს რუსეთიდან მართულის იარლიყს აკრავენ.

<http://qartuliazri.ge/inside.php?menuid=68&id=5317>

\*\*\*

### სასულიერო სფეროში ჩაურევლობის საკითხი

22.02.2017

დეკანოზი თამაზ ლომიძე საკუთარ ფეისბუკ-გვერდზე აკრიტიკებს ზოგიერთი სასულიერო და საერო პირის პოზიციას, რომლებიც აცხადებენ, რომ დაუშვებელია საეკლესიო საკითხების ეკლესიის გარეთ გატანა და განხილვა. ის აცხადებს, რომ **ადამიანებს აქვთ უფლებაც და ვალდებულებაც მიიღონ მონაწილელობა საკუთარი ეკლესიის პრობლემების განხილვაში.** სწორედ ამ ყველაფრის გაცნობიერების და პრაქტიკულად განხორციელების შემთხვევაში ხედავს ის ეკლესიის ამჟამინდელი მდგომარეობის გამოსწორების შესაძლებლობას.

\*\*\*

### თანამედროვე მართლმადიდებლური ეკლესიის პრობლემები

14.02.2017

დეკანოზი ილია ჭილაძე ეხმიანება ეკლესიაში მიმდინარე მოვლენებს და საუბრობს ინსტიტუციის ამჟამინდელ პრობლემებზე. დეკანოზის აზრით, „**სახეზეა ძალიან დიდი**

ადმინისტრაციული და სხვა სახის პრობლემები ეკლესიაში და ეკლესიის გარშემო და ეს პრობლემები შეუქცევადი სახისაა. რასაც დასთეს, იმას იმკი ადამიანი, ბრძანებს წმინდა წერილი, მე მეცოდება ჩვენი ერი, რომელიც ამდენ სულიერ ტრამვას და გამოცდას უძლებს, რომელმაც ამ ყველაფრის შემხედვარემ, რამისაა რწმენაც დაკარგოს და იმედიც, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ სარწუნოება – მართლმადიდებელი ქრისტიანობა ბევრად აღმატებული მოვლენაა, ვიდრე სამღვდლო დასის წევრები და საპატრიარქოს სტრუქტურები, არ გავათანაბროთ ადამიანებთან რწმენა და ღმერთი, ადმიანები არიან შეცდომის შვილნი, რწმენა (მართლმადიდებლობა) კი მარადიულია და გადამრჩენელი. პრობლემების გამოაშკარავება, კი მათი გადაჭრის იმედს მაძლევს. დაე, უფალი ყოვლისამპყრობელი შეეწიოს ჩვენს გასაცოდავებულ ყოფიერებას!“

\*\*\*

### ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა

9.03.2017

დეკანოზი თამაზ ლომიძე საუბრობს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობაზე და სოციალურ ქსელში აქვეყნებს თავის შეხედულებას : „ამ კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი გზა არსებობს: უფრო და უფრო უნდა გაძლიერდეს და განმტკიცდეს თავისუფალი სახელმწიფო, მისი ხელშეუვალი კანონებით და სტრუქტურებით და იმავე დროს, უფრო და უფრო უნდა დასუსტდეს ეკლესია მიწიერად და მატერიალურად და შემცირდეს მისი ამქვეყნიური გავლენა. ნუ ვეცდებით ”შევასწოროთ ქრისტეს საქმე“, არ ცდება უფალი როცა სახარებაში ამბობს: ”ჩემი მეუფება არ არის ამქვეყნიური“. უეჭველია და მართალია, რომ რაც უფრო სუსტია ეკლესია მიწიერად, მით უფრო ძლიერია სულიერად. რაც უფრო მეტ მატერიალურ მოვალეობას ჩამოიხსნის ეკლესია, მით მეტ სულიერ მადლს მიიღებს მოძღვრების საქადაგებლად და სახელმწიფოსაც გაუადვილებს თავისუფალი ქვეყნის მშენებლობას. ესაა კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი გზა ორივესთვის - ეკლესიისთვისაც და სახელმწიფოსთვისაც.“

რუსეთი, ოკუპირებული ტერიტორიები

\*\*\*

## საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ

22.03.2017

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია მეორე საპატრიარქოში სკანდინავიისა და ბალტიის რვიანის წევრ ქვეყანათა პარლამენტის თავმჯდომარეებსა და ვიცე-სპიკერებს შეხვდა. მან იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული ვიზიტი ნაყოფიერი იქნება და მადლობა გადაუხადა რთულ პერიოდში საქართველოსთვის გამოცხადებული მხარდაჭერისთვის. **მან ქვე აღნიშნა, რომ საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ, რის გამოც მნიშვნელოვანია მათი თანადგომა.**

„ მე მოხარული ვარ, რომ თქვენ ინახულეთ ის საზღვრები, სადაც ხელოვნურად დაყოფილია ჩვენი ტერიტორია. დაუსრულებლად ეს არ შეიძლება გაგრძელდეს. რუსეთმა უნდა გაათავისუფლოს ჩვენი ტერიტორიები. ამიტომ თქვენი ჩამობრძანება საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენ მადლობას გწირავთ ამისთვის. მე კიდევ ერთხელ მადლობელი ვარ თქვენი ჩამობრძანებისათვის და დარწმუნებული ვარ, თქვენი ვიზიტი იქონიებს დიდ გავლენას.“- განაცხადა ილია მეორემ.

<http://liberali.ge/news/view/28330/ilia-II--rusetma-unda-gaatavisuflos-chveni-teritoriebi>

\*\*\*

## საქართველოს საპატრიარქო რუსი მესაზღვრეების მიერ ვანდალური ფაქტების გამოვლენის შესახებ

13.01.2017

ინავარში გავცრელდა სხვადასხვა ინფორმაცია აფხაზეთში, გულრიფშის რაიონში, რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის მესაზღვრეების მიერ ისტორიული ძეგლის და მიმდებარე სასაფლაოს განადგურების შესახებ. აღნიშნული ფაქტის შესახებ საპატრიარქო ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს და მოუწოდებს ყველას, გაერთიანდნენ წებელდეს ციხე-სიმაგრის და სხვა ისტორიული ძეგლების დასაცავად.

საპატრიარქოს ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია: „ამასთან, აუცილებლობად მიგვაჩნია, ჩვენმა ხელისუფლებამ გამოძებნოს გზა, რათა იუნესკოს სპეციალისტების საშუალებით განხორციელდეს, როგორც აფხაზეთში, ისე ცხინვალის რეგიონში არსებული ისტორიული ძეგლების მონიტორინგი, რადგანაც ქართველ სპეციალისტებს არ ეძლევათ საშუალება მათი დაცვა-რესტავრაციის.

<http://patriarchate.ge/geo/saqartvelos-sapatriarqos-gancxadeba-13-01/>

\*\*\*

### ოკუპირებული რეგიონებისთვის სახელის გადარქმევა

9.02.2017

დეკანოზი ილია ჭილაძე ოკუპირებული რეგიონისთვის (სამხრეთ ოსეთის) სახელის გადარქმევის განზრახვას ეხმიანება და აპროტესტებს: „გინდ ალანია უწოდონ და გინდ ფასკუნჯეთი, ე. წ. სამხრეთ ოსეთი არის შიდა ქართლის ნაწილი, საქართველოს გული, ქართული კულტურის ძირძველი კერა“.

ტერორიზმი, ვანდალიზმი

\*\*\*

### საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ტერორიზმის შესახებ

22.03.2017

დეკანოზი ილია ჭილაძე სოციალურ ქსელში ეხმაურება ლონდონში მომხდარ ტრაგედიას მომხდარ ტრაგედიას და მწუხარებას გამოთქვამს შემდეგი ტექსტით: „დიდად სამწუხაროა ლონდონში მომხდარი ტერაქტი, ზუსტად ამ კვირა დღეს ვიყავი მაგ ხიდზე და მიმდებარე ტერიტორიაზე. ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ!“

16.03.2017

დეკანოზი ილია ჭილაძე სოციალურ ქსელში ეხმაურება ლონდონში მომხდარ ტრაგედიას და მწუხარებას გამოთქვამს. ასვე ის მსჯელობს ქართული საზოგადოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკვითებზე. მისი აზრით,

„ერის სადღეისო სატკივარია“:

1. მიშიზმი, როგორც ბნელი იდეოლოგია და პიროვნების კულტი;

2. სუბიექტივიზმი, როგორც უსამართლობა და მიკერძოებულობა;
3. უნდობლობა, როგორც სიძულვილი და უსიყვარულობა;
4. სტალინიზმი (ძველი თაობის ნაწილში), ასევე როგორც ტოტალიტარული იდეოლოგია და პიროვნების კულტი;
5. ნეპოტიზმი - ნათესავ-ახლობლების დაწინაურება, მიუხედავად მათი ღირსების და პროფესიონალიზმის;
6. კრიტიკის, როგორც მტრობის მიღება;
7. არაპროფესიონალიზმი მასობრივად ყველა სფეროში;
- რაც ვფიქრობ წიგნის და ინტელექტის ნაკლები მოთხოვნილებით აიხსნება;
8. ჯანსაღი, რეალური პატრიოტიზმის დეფიციტი;
9. კუთხურ-ტომობრივი ჩაკეტილობა (ანუ პროვინციალიზმი)“

## ლიბერალიზმი

\*\*\*

### ლიბერალიზმი და რელიგია

12.01.2017

დეკანოზი თამაზ ლომიძე საკუთარ ფეისბუკ-გვერდზე წერს, რომ **არასწორად არის გაგებული ლიბერალიზმი, რომ ის ეწინააღმდეგება რელიგიას.** მას მოჰყავს გერმანიის მაგალითი “ევროპის შუაგულ ნაწილში, გერმანიის ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ და მაღალი სტანდარტების მქონე მიწაზე დამამთავრებელ კლასებში სავალდებულო საგნად ითვლება რელიგია, რასაც არავინ ებრძვის და აპროტესტებს. მისი თქმით, სკოლებში რელიგია უნდა ისწავლებოდეს, რეალური პრობლემა არა რელიგიის სწავლება, არამედ კვალიფიციური მასწავლებლების ნაკლებობა.“

## ადამიანის უფლებები, ტოლერანტობა

\*\*\*



## ჰომოსექსუალთა ქორწინების და უფლებების დაცვის შესახებ

30.01.2017

მღვდელმონაზონი ილია ვაშაკიძე სოციალურ ქსელში ავრცელებს ინფორმაციას ამერიკის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის დამოკიდებულებას გეი ქორწინების შესახებ, სადაც პრეზიდენტი გეი ქორწინებას ბოროტებასა და ავადმყოფობას უწოდებს. აღნიშნულ ინფორმაციას ილია ვაშაკიძე შემდეგის ახით ეხმაურება:

**„ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ამერიკის იმედებს ამართლებთ, კაციც ხართ და ქრისტიანიც. ვამაყობთ თქვენით, ჩვენ ვისი სახელმწიფოც ამერიკაა, სამშობლო კი საქართველო. Good luck, mister president! “**

22.02.2017

დეკანოზი ანდრია კემულარია სოციალურ ქსელში იხსნებს ფაქტს, როდესაც ერთ-ერთი ჟურნალისტი და პარლამენტის ყოფილი წევრი მაგდა ანიკაშვილი გამოთქვამს მწუხარებას იმის შესახებ, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი პრობლემა მოსახლეობის სიჭარბეა, საქართველო კი პატრიოტულ მოტივებს არის აყოლილი და არაფერს აკეთებს ამ პრობლემის მოსაგვარებლად. დეკანოზი მას შემდეგნაირად პასუხობს : **„მსოფლიოს მმართველი ელიტები დიდი ხანია ფიქრობენ ამაზე და მოქმედებენ კიდევაც სქესობრივ უმცირესობათა დაცვის ნიღბით მათი ცხოვრების წესის პროპაგანდა, ნარკოტიკების ლეგალიზაციისათვის ბრძოლა, უზნეობის ქადაგება ფსევდოკულტურითა და მასმედიით... ამას დამატებული უაზრო და დაუმთავრებელი ომები, ახალი და უჩვეულო სწეულებები, აცრებისა და კონტრაცეფციის საეჭვო პროგრამები...“**

07.02.2017

დეკანოზი ანდრია კემულარია სოციალურ ქსელში ფინეთში გამართული ჰომოსექსუალების სილამაზის კონკურსის შესახებ წერს : **„არ ვაპირებდი ამ საზიზღრობის აქ დადებას, მაგრამ, ალბათ უნდა ვიცოდეთ, რა დროსა და გარემოებაში გვიწევს ცხოვრება, რა გვიტევს და შემოგვიტევს მომავალში.**

ფინეთში ზარზეიმით აირჩიეს წლის გეი. უკეთურებაა, მაგრამ ეს კიდევ არაფერი – ახლადგამომცხვარი „ვარსკვლავი“ სულ 15 წლისაა. ეს, ვფიქრობ, უკვე პედოფილიაა. ამას

დამატებული, ჯილდოები ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის ჰელსინკის „ეპისკოპოსმა“ ირია ასკოლამ გადასცა. როგორ გინდა ისე გამოტოლერანტდე, რომ ამას სისამაგლე არ უწოდო!?”

\*\*\*

### აბორტი და სინანულის საქმე

08.02.2017

დეკანოზი თამაზ ლომიძე სოციალურ ქსელში წერს რა იქნებოდა საუკეთესო სინანულის საქმე დედისთვის, რომელმაც საკუთარი შვილი აბორტით მოკლა, პასუხი სხვისი შვილების სიცოცხლის გადარჩენა და დახმარებაა. ის ეხმიანება ხუდადოვის ტყეში ეკლესიის აშენების ინიციატივას, რომელიც სწორედ ასეთმა დედებმა უნდა უზრუნველყონ. დეკანოზი ამბობს რომ ტაძრის მშენებლობაში ცუდი არაფერია, მაგრამ ამავე სახსრებით ბევრად დიდი და საღვთო საქმე იქნებოდა მშვიერი და გაჭირვებული ბავშვების გადარჩენა.

### რელიგიური პლურალიზმი

\*\*\*

### საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და თეირანის სულიერი ლიდერის შეხვედრა

20.03.2017

20 მარტს სულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებსასთან ერთად საქართველოს საპატრიარქოში მიიღო ირანელთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა აიათოლა ქამეზსსედიგი\_თეირანის სულიერი ლიდერი.

შეხვედრას ესწრებოდა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე. შეხვედრაზე ისაუბრეს გახშირებულ ტერორისტულ აქტებსა და მსოფლიოში განვითარებულ მძიმე პროცესებზე, რომლებსაც სამწუხაროდ უდანაშაულო ადამიანები ეწირებიან. ასევე განიხილეს საქართველოსა და ირანში არსებული მდგომარეობა რელიგიის თავოსუფლების კუთხით. სტუმარმა კმაყოფილება გამოთქვა მუსლიმურ თემსა და მართლმადიდებელ ქრისტიანებს შორის არსებული თბილი ურთიერთდამოკიდებულების

გამო. მან ასევე ხაზი გაუსვა მისი უწმინდესობის და უნეტარესობის პიროვნების როლს და აღნიშნა, რომ პატრიარქი ილია II რეგიონში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დელეგაციის წევრებს ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა, მან დასძინა რომ ჩვენს ქვეყანაში რწმენის თავისუფლების ერთ-ერთი დადასტურება საქართველოში არსებული მრავალრიცხოვანი მეჩეტეებია და გამოთქვა იმედი, რომ სამომავლოდ ირანშიც ამოქმედდება მართლმადიდებლური ეკლესია.

<http://patriarchate.ge/geo/teiranis-sulieri-lideri-saqartvelos-sapatriarqoshi/>

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

კონტაქტი: თბილისი წერეთლის გამზირი # 72

ტელ: +995 32 235 51 54 / 235 77 37

ელ-ფოსტა : info@cipdd.org



**National Endowment  
for Democracy**

*Supporting freedom around the world*

პროექტი ხორციელდება დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნული ფონდის(NED) მხარდაჭერით

